საკრედიტო პირობების კვლევა

I კვარტალი, 2023

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საკრედიტო პირობების კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

საქართველოს ეროვნული ბანკი 2013 წლიდან ატარებს საკრედიტო პირობების კვლევას. გამოკითხვა ონლაინ პლატფორმის საშუალებით ტარდება, ხოლო რესპოდენტებს საბანკო სექტორის მაღალი რგოლის მენეჯერები წარმოადგენენ. კვლევის მიზანს რესპოდენტებისაგან დაკრედიტების მიმდინარე და სამომავლო ტენდენციებზე ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. კერძოდ, კვლევა მოიცავს კითხვებს ფიზიკური და იურიდიული პირების სესხებზე მოთხოვნისა და დაკრედიტების საპროცენტო და არასაპროცენტო პირობების ცვლილებაზე, ასევე კითხვებს ამ ცვლილების გამომწვევი ფაქტორების შესახებ.

კითხვარი შედგება მხოლოდ ხარისხობრივი შეკითხვებისაგან და არ მოითხოვს რესპოდენტთა მხრიდან რაოდენობრივ შეფასებას. ინფორმაციის რაოდენობრივ ერთეულებში გარდაქმნისათვის გამოყენებულია საბალანსო სტატისტიკის მეთოდოლოგია. ინდექსი მერყეობს -100-დან 100–მდე. 100 აღნიშნავს, რომ გამოკითხულთა 100% აღიქვამს ტენდენციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ინდექსი -100 აღნიშნავს, რომ რესპოდენტთა 100% მნიშვნელოვან გაუარესებას აღიქვამს. 0 აღნიშნავს, რომ ტენდენცია არ შეცვლილა გასულ კვარტალთან შედარებით. ინდექსის დათვლისას რესპოდენტთა პასუხებს თანაბარი წონა აქვთ მინიჭებული, განურჩევლად ბანკის ზომისა.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ყოველ კვარტალურად ქვეყნდება ანგარიში. გარდა კვლევის საბოლოო შედეგებისა, აღნიშნული ანგარიში მოიცავს ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას დაკრედიტების ტენდენციების შესახებ.

ამ ანგარიშში წარმოდგენილი მოლოდინები ასახავს მხოლოდ საკრედიტო პირობების კვლევის რესპოდენტთა შეფასებას დაკრედიტების მომავალ ტენდენციაზე და არა ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა მოლოდინებს.

საკრედიტო პირობების კვლევა

მოკლე შეჯამება 4

ბიზნესის დაკრედიტების პირობები და ტენდენციები 5

ფიზიკური პირების დაკრედიტების პირობები და ტენდენციები 9

დიაგრამა 1. ბიზნეს სესხების მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება 5

დიაგრამა 2. ბიზნეს სესხების საკრედიტო პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები 6

დიაგრამა 3. საპროცენტო განაკვეთები და ნარჩენი ვადიანობა ბიზნეს სესხებზე 7

დიაგრამა 4. ბიზნეს სესხებში უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი 8

დიაგრამა 5. ფიზიკური პირების სესხებზე მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება 9

დიაგრამა 6. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების დაკრედიტების პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები 10

დიაგრამა 7. სესხის მომსახურეობისა (PTI) და უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტების განაწილება 10

დიაგრამა 8. ფიზიკურ პირებზე გაცემულის სესხების საპროცენტო განაკვეთები და ნარჩენი ვადიანობა 11

დიაგრამა 9. უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში 12

მოკლე შეჯამება

საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს სესხებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის ზრდას კვლავ ელიან. ამავე კვლევის მიხედვით, პირველ კვარტალში დაკრედიტების, როგორც საპროცენტო ისე არასაპროცენტო პირობები მცირედით გამკაცრდა უცხოური ვალუტით გაცემული მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებისთვის. დაკრედიტების პირობების გამკაცრება ძირითადად ფინანსური რესურსის ხარჯის ზრდითა და ეკონომიკური ტენდენციებით იყო განპირობებული. ამასთან, საპროცენტო პირობების გამკაცრებაზე გარკვეულწილად აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებამაც იმოქმედა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე დაკრედიტების საპროცენტო პირობების მცირედით გამკაცრებას კვლავ ელიან, ხოლო არასაპროცენტო პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არაა.

საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა. მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის მცირედით ზრდა კვლავ მოსალოდნელია. კვლევის მიხედვით, დაკრედიტების არასაპროცენტო პირობები ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო საპროცენტო პირობები მცირედით გამკაცრდა როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის სესხებისთვის. საბანკო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, მომდევნო კვარტალში დაკრედიტების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არაა.

ბიზნესის დაკრედიტების პირობები და ტენდენციები

საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს სესხებზე მოთხოვნა გაიზარდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები 2023 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის ზრდას კვლავ ელიან. ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს სესხების პორტფელის ზრდამ 19%[1] შეადგინა. ვალუტების ჭრილში ბიზნეს სესხების ზრდა მნიშვნელოვანწილად უცხოური ვალუტით გაცემულმა სესხებმა განაპირობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიზნეს სესხების ზრდა სექტორულ ჭრილში ძირითადად სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის სექტორის დაკრედიტებამ განაპირობა. საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2023 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის ზრდას კვლავ ელიან (იხ. დიაგრამა.1).

დიაგრამა 1. ბიზნეს სესხების მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება[2]



წყარო: საკრედიტო პირობების კვლევა, სებ.

2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, დაკრედიტების პირობები ბიზნეს სესხებისთვის მცირედით გამკაცრდა უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის, რაც ძირითადად ფინანსური რესურსის ხარჯის ზრდამ და ეკონომიკურმა ტენდენციებმა განაპირობა. დაკრედიტების პირობების მცირედი გამკაცრება ძირითადად ფინანსური რესურსის ხარჯის ზრდით და ეკონომიკური ტენდენციებით იყო განპირობებული (იხ. დიაგრამა 2). ეროვნული

[1] აღნიშნული მონაცემი ასახავს გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სეზონურად შესწორებული სესხების გაწლიურებულ ზრდას.

[2] საკრედიტო პირობებისა და მოთხოვნის ცვლილების ინდექსი მერყეობს -100-დან 100–მდე. 100 აღნიშნავს, რომ რესპოდენტების 100% აღიქვამს ტენდენციის მნიშვნელოვან გამკაცრებას/ზრდას; -100 აღნიშნავს მნიშვნელოვან შერბილებას/შემცირებას; 0 აღნიშნავს, რომ ტენდენცია არ შეცვლილა გასულ კვარტალთან შედარებით. 2023Q2* ასახავს საბანკო სექტორის წარმომადგენლების მოლოდინებს 2023 წლის მეორე კვარტალზე.

ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არასაპროცენტო პირობები, როგორიცაა საკრედიტო ხაზის ლიმიტი, მცირედით გამკაცრდა, ხოლო სესხის ვადიანობა მცირედით შემცირდა ლარით და დოლარით გაცემული სესხებისთვის (იხ. დიაგრამა 3). საბანკო სექტორის წარმომადგენლები არასაპროცენტო პირობების მნიშვნელოვან ცვლილებას მომდევნო კვარტალში არ ელიან. ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მარტში, დეკემბერთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთი თვის შიგნით ეროვნული ვალუტით გაცემულ მსხვილ ბიზნეს სესხებზე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 14.5% იყო.

რაც შეეხება უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებს, მარტში, დეკემბერთან შედარებით, თვის შიგნით გაცემული მსხვილი ბიზნეს სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, როგორც დოლარით ისე ევროთი გაცემული სესხებისთვის 9.7% და 7.9%-მდე, შესაბამისად. მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებისთვის, საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებისთვის, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 14.6% იყო. რაც შეეხება უცხოური ვალუტით გაცემული სესხებს, დოლარით გაცემული სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი 0.7 პპ-ით გაიზარდა და 8.2% შეადგინა, ხოლო ევროთი გაცემული სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი, 0.4 პპ-ით, 7.1%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 3). საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, გაიზარდა განაკვეთი ფიქსირებული განაკვეთით გაცემული უცხოური ვალუტის სესხებზეც. გამოკითხულთა აზრით, მომდევნო კვარტალში საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის შესაძლოა მცირედით კვლავ გაიზარდოს.

დიაგრამა 2. ბიზნეს სესხების საკრედიტო პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები [3]



წყარო: საკრედიტო პირობების კვლევა

[3] დიაგრამა საკრედიტო პირობების ცვლილებაში თითოეული ფაქტორის წილს ასახავს. დადებითი წილი მიუთითებს ფაქტორის წილს გამკაცრებაში, ხოლო უარყოფითი შერბილებაში.

დიაგრამა 3. საპროცენტო განაკვეთები და ნარჩენი ვადიანობა ბიზნეს სესხებზე [4]



წყარო: სებ.

2023 წლის პირველ კვარტალში უმოქმედო სესხების წილი ბიზნეს სესხებში მცირედით შემცირდა. პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილმა ჯამურად ბიზნეს სესხებში 4% შეადგინა. ვალუტების ჭრილში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმოქმედო სესხების წილი ეროვნული ვალუტით გაცემულ ბიზნეს სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 3% იყო. ხოლო აშშ დოლარით და ევროთი გაცემულ სესხებში უმოქმედო სესხების წილი მცირედით შემცირდა და 5% და 3% შეადგინა, შესაბამისად (იხ. დიაგრამა 4). საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში უმოქმედო სესხების წილის მცირედით შემცირებას ელიან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წლის პირველი კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, რესტრუქტურიზებული სესხების წილი ბიზნეს სესხებში 0.7 პპ-ით, 17.6%-მდე შემცირდა, რაც ბიზნეს სესხების პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ეროვნული ვალუტით გაცემულ მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებში მცირედით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებში გაიზარდა. პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ეროვნული ვალუტით გაცემულ მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებში მცირედით შემცირდა საშუალოდ 11.7%-მდე, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის 3.8 პპ-ით გაიზარდა 10.5%-მდე. რაც შეეხება მსხვილ ბიზნეს სესხებს, პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და საშუალოდ 0.8% იყო (იხ. დიაგრამა 4).

[4] საპროცენტო განაკვეთი და ნარჩენი ვადიანობა თვეებში თვის შიგნით გაცემულ მცირე და საშუალო და მსხვილი ბიზნეს სესხების ნაკადებზე.

დიაგრამა 4. ბიზნეს სესხებში უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი



წყარო: სებ.

ფიზიკური პირების დაკრედიტების პირობები და ტენდენციები

საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა. მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის მცირედით ზრდა კვლავ მოსალოდნელია. კერძოდ, ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაწლიურებულმა ზრდის ტემპმა[5] 16.9% შეადგინა (იხ. დიაგრამა 5). ვალუტების ჭრილში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ზრდა მნიშვნელოვანწილად ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა განაპირობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირველ კვარტალში უცხოური ვალუტით დაკრედიტების გაწლიურებულმა ზრდის ტემპმა 10.7% შეადგინა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის მცირედით ზრდას კვლავ ელიან.

დიაგრამა 5. ფიზიკური პირების სესხებზე მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება [6]



წყარო: საკრედიტო პირობების კვლევა, სებ.

2023 წლის პირველ კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის დაკრედიტების არასაპროცენტო პირობები მცირედით გამკაცრდა. ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, სესხის ვადიანობა მცირედით შემცირდა, როგორც ეროვნული ისე უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხებისთვის. ხოლო სესხის მომსახურეობის (PTI) და სესხის

[5] აღნიშნული მონაცემი ასახავს გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სეზონურად შესწორებული სესხების გაწლიურებულ ზრდას.
[6] იხ. დიაგრამა 1-ის მეორე შენიშვნა.

უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. მთლიანობაში დაკრედიტების პირობები მცირედით გამკაცრდა (იხ. დიაგრამა 6-8).

დიაგრამა 6. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების დაკრედიტების პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები [7]



წყარო: საკრედიტო პირობების კვლევა

დიაგრამა 7. სესხის მომსახურეობისა (PTI) და უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტების განაწილება



წყარო: სებ.

საპროცენტო განაკვეთები ფიზიკურ პირებზე ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის მცირედით გაიზარდა. კერძოდ, მარტში, დეკემბერთან შედარებით, ეროვნული ვალუტით გაცემული სამომხმარებლო სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი 0.9 პპ-ით გაიზარდა და 18.9% შეადგინა, ხოლო იპოთეკური სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი მცირედით, 12.8%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის სესხებს, საპროცენტო

[7] იხ. დიაგრამა 2-ის შენიშვნა.

განაკვეთი აშშ დოლარით გაცემული იპოთეკური სესხებისთვის 1.3 პპ-ით, 7.8%-მდე, გაიზარდა, ხოლო ევროთი გაცემული სესხებისთვის 0.7 პპ-ით გაიზარდა და 6.0% შეადგინა (იხ. დიაგრამა 8). გამოკითხულთა აზრით, მომდევნო კვარტალში ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების საპროცენტო პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არაა.

დიაგრამა 8. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი და ნარჩენი ვადიანობა [8]



წყარო: სებ.

2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. კერძოდ, ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, უმოქმედო სესხების წილი იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 3% და 5% შეადგინა, შესაბამისად. ვალუტების ჭრილში, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა უმოქმედო სესხების წილი უცხოური ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებში. კერძოდ, ევროთი გაცემულ იპოთეკურ სესხებში უმოქმედო სესხების წილი 3% იყო, ხოლო დოლარით გაცემულ იპოთეკურ სესხებში უმოქმედო სესხების წილი მცირედით შემცირდა და 3% შეადგინა. რაც შეეხება ეროვნული ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებს, უმოქმედო სესხების წილი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 3% შეადგინა (იხ. დიაგრამა 9). საბანკო სექტორის წარმომადგენლები 2023 წლის მეორე კვარტალში უმოქმედო სესხების წილის მნიშვნელოვან ცვლილებას არ მოელიან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, რესტრუქტურიზებული სესხების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში მცირედით შემცირდა და 13.6% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის პირველ კვარტალთან

[8] საპროცენტო განაკვეთი და ნარჩენი ვადიანობა თვეებში ფიზიკურ პირებზე თვის შიგნით გაცემულ სესხების ნაკადებზე.

შედარებით 3.9 პპ-ით არის შემცირებული, რაც ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

2023 წლის პირველ კვარტალში უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ეროვნული ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებში მცირედით შემცირდა. კერძოდ, პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი სამომხმარებლო სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 49% იყო. რაც შეეხება იპოთეკურ სესხებს, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი მცირედით შემცირდა ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებში და 28% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 23% იყო (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში



წყარო: სებ

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

ანგარიში მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ანალიზის განყოფილების მიერ. ამ ანგარიშში წარმოდგენილი მოლოდინები ასახავს მხოლოდ საკრედიტო პირობების კვლევის რესპოდენტთა შეფასებას დაკრედიტების მომავალ ტენდენციაზე და არა ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა მოლოდინებს. ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკა დაკრედიტების მიმდინარე ტენდენციაზე განკუთვნილია მხოლოდ მიმდინარე ანალიტიკური მიზნებისთვის, რადგანაც აქ წარმოდგენილი ზოგიერთი მონაცემი შესაძლოა დაექვემდებაროს პერიოდულ გადახედვას და შესაბამისად, ისინი შეიძლება შეიცავდეს გაზომვის ცდომილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზომაა მიღებული მონაცემთა დროულად, კორექტულად და სრულყოფილად წარმოსადგენად, საქართველოს ეროვნული ბანკი არ იძლევა გარანტიას მონაცემთა სრულ სიზუსტეზე. მიმოხილვაში გამოქვეყნებული ზოგიერთი მონაცემი შესაძლოა განსხვავდებოდეს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე "სტატისტიკის" რუბრიკაში გამოქვეყნებული მონაცემებისგან, რადგანაც გაანგარიშებებში გამოყენებულია საზედამხედველო მონაცემები.

მონაცემები წარმოდგენილია 31/03/2023-ის მდგომარეობით.

დამატებითი კითხვებით შეგიძლიათ მიმართოთ ელენე ღვინიაშვილს

ელ-ფოსტა: Elene.Gviniashvili@nbg.gov.ge ტელ: (+995) 595 511512

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო, თბილისი 0114, სანაპიროს 2
(995 32) 2 406 406
info@nbg.ge; www.NBG.ge